

სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტი - 080360
პროფესიული სტანდარტი

I. სფეროს აღწერა

სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტის პროფესიული კვალიფიკაცია მოდის დიზაინის ინდუსტრიული სფეროს მომსახურებათა მნიშვნელოვანი ქვესისტემაა. იგი არის ტანსაცმლის სხვადასხვა ასორტიმენტული ჯგუფის წარმოების პროცესში ჩართული რგოლი, რომელმაც უნდა შეძლოს ტანსაცმლის კერვის სხვადასხვა სირთულის ტექნოლოგიური ოპერაციების შესრულება.

ტანსაცმლის ასორტიმენტის მასალაში შესრულება მნიშვნელოვანი პროცესია, როგორც საწარმოო-ინდუსტრიულ, ასევე ინდივიდუალურ წარმოებაში. თანამედროვე სამკერვალო ნაწარმის შემსრულებელი უნდა იყოს მაღალი კომპეტენციების მქონე სპეციალისტი, რომელიც შეძლებს წარმოების მიერ დასმული ამოცანების გადაწყვეტას, ხარისხის უზრუნველყოფას, შრომის უსაფრთხოებისა და ეთიკური ნორმების დაცვას. პროფესია გულისხმობს მისი სპეციალიზაციის მაღალ დონეს, საშემსრულებლო შესაძლებლობების უნივერსალურობას, ინდივიდუალურ და საწარმოო პროცესებში გარკვეულობას.

თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად, პროფესიული პროგრამა მოიცავს ყველა საჭირო მნიშვნელოვან ეტაპს მაღალკვალიფიციური სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტის მოსამზადებლად, რაც უზრუნველყოფს ტანსაცმლის წარმოების ინდუსტრიული მეთოდისა და ტექნიკური განვითარების შესაბამისად მოდური, ხარისხიანი, კონკურენტუნარიანი პროდუქციის შექმნას. ნაწარმის კერვის ტექნოლოგია უნდა იყოს პროგრესული, განვითარებადი, შეესაბამებოდეს თანამედროვე ტექნიკის განვითარებისა და საწარმოო ორგანიზაციის დონეს. ყოველი პროფესიული საფეხურის კურსის გავლის შემდეგ კურსდამთავრებულს გამოუმუშავებული აქვთ სპეციალური, პროფესიონალური უნარ-ჩვევები, ზოგადი პროფესიული განათლების ფონზე.

სასწავლო კურსის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული ფლობს პროფესიულ ოსტატობას და გაცნობიერებულია განსაზღვრული სახის ტექნიკასა და ტექნოლოგიებში, შეუძლია, მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანოს სამკერვალო პროდუქციის წარმოებაში.

II. დასაქმების სფერო

სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტის დასაქმების არეალია მოდის დიზაინის კომპანიები, მცირე და მსხვილი სამკერვალო საწარმოები, ფაბრიკები, მოდის ატელიეები. შრომის ბაზრის ნაწილი თვითდასაქმებულთა სეგმენტზე მოდის: ინდივიდუალური კერვა, ინდივიდუალური მეწარმეობა, კერძო/მცირე ბიზნესი.

III. საგანმანათლებლო პროგრამა და კვალიფიკაცია

სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტის პროფესიული განათლება არის სამსაფეხურიანი - III,IV,V და თითოეული საფეხურისთვის შემუშავებულია შესაბამისი პროფესიული პროგრამა. ყოველი საფეხურის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს ენიჭება შესაბამისი პროფესიული კვალიფიკაცია, რაც დასტურდება პროფესიული დიპლომით.

სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა (ინდივიდუალური სამკერვალო ნაწარმის ხელოსანი) მოიცავს მინიმუმ 60 კრედიტს: 50% ეთმობა სასწავლო კომპონენტს, 50% – სასწავლო-საწარმოო პრაქტიკას. კურსდამთავრებულს ენიჭება სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტის მესამე საფეხურის კვალიფიკაცია.

სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტის მეოთხე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა (მსუბუქი ტანსაცმლის ასორტიმენტის ოსტატი) მოიცავს მინიმუმ 60 კრედიტს: 50% ეთმობა სასწავლო კომპონენტს, 50% – სასწავლო/საწარმოო პრაქტიკას.

კურსდამთავრებულს ენიჭება სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტის მეოთხე საფეხურის კვალიფიკაცია.

სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტის მეხუთე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა (სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტი) მოიცავს მინიმუმ 60 კრედიტს: 50% ეთმობა სასწავლო კომპონენტს, 50% – სასწავლო-საწარმოო პრაქტიკას.

კურსდამთავრებულს ენიჭება სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტის მეხუთე საფეხურის კვალიფიკაცია.

IV. დამატებითი მოთხოვნები (არსებობის შემთხვევაში)

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მასწავლებლის მიმართ წაყენებული მოთხოვნები:

- პროფესიით მუშაობის არანაკლებ 5 წლის გამოცდილება.

სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტის მესამე საფეხურის კვალიფიკაციის აღმწერი

<p>ცოდნა და გაცნობიერება</p>	<p>სფეროსათვის დამახასიათებელი ძირითადი ფაქტების, პრინციპების, პროცესებისა და ზოგადი კონცეფციების ცოდნა, გართულებული ამოცანების შესასრულებლად აუცილებელი ნაბიჯების გაცნობიერება.</p>	<p>იცის და აცნობიერებს სამკერვალო სპეციალობის საბაზისო პრინციპებსა და ტექნოლოგიურ პროცესებს, კერძოდ, იცნობს ტანსაცმლის დეტალების ძაფური შეერთების სხვადასხვა მეთოდს, ტანსაცმლის დეტალების შესაერთებლად საჭირო საშუალებებს, იცის ძაფური ნაკერები, მათი სახეები და აგებულება.</p> <p>იცის დამუშავების შერჩეული მეთოდით ცალკეული კვანძების ნიმუშების მომზადება, იცის კვანძის თბურდანამვითი დამუშავების ტექნიკა.</p> <p>გაცნობიერებული აქვს ინდივიდუალური სამკერვალო ნაწარმის ხელოსნის პროფესიული მიზნები და ამოცანები, ინდივიდუალური სამკერვალო ნაწარმის შესრულების თავისებურებები;</p> <p>იცის ადამიანის ფიგურის ზომითი მახასიათებლები და ფიგურის ზომებიდან ტანსაცმელზე გადასვლის პრინციპები, ტანსაცმლის ზომები და ფორმა, სილუეტური, კონსტრუქციული, დეკორატიული ხაზების დახასიათება, ტანსაცმლის ზედაპირის დანაწევრების სქემები, ფორმის მთლიანობის უზრუნველმყოფელი ტექნიკური საშუალებები, იცის ბაზისური ფუძის თარგის შერჩევა-გამოყენება, დაზუსტება და მოდელური განსაკუთრებულობების დატანა, მასალაში შესრულება, ტექნიკური დამუშავება. აცნობიერებს გართულებული ტექნიკური ამოცანის შესასრულებლად აუცილებელ ნაბიჯებს.</p> <p>იცის საჭირო მანქანა-დანადგარების გამოყენება, მათი მოვლა.</p>
------------------------------	--	--

<p>ცოდნის პრაქტიკაში გაცნობიერების უნარი</p>	<p>სფეროს სპეციფიკისათვის დამახასიათებელი უნარების ფართო სპექტრის გამოყენება, დავალებების შესასრულებლად სხვადასხვა მიდგომის შეფასება, სათანადო მეთოდების, ინსტრუმენტებისა და მასალების შერჩევა და მისადაგება;</p>	<p>ფლობს მკერავის პროფესიისთვის დამახასიათებელი უნარების ფართო სპექტრს, კერძოდ, შეუძლია: ძირითადი მასალებისა და ინსტრუმენტების გამოყენებით ნაწარმის ხელისა და მანქანური გვირისტების შესრულება, მზა ტანსაცმლის დაზიანებული ადგილების ხელით რესტავრაცია და ა.შ.</p> <p>სამკერვალო ნაწარმის სხვადასხვა ასორტიმენტისათვის საჭირო ცალკეული კვანძებისა და დეტალების ტექნიკურად შესრულება, როგორცაა ჯიბე, სახელო, მანუეტი, საყელო და ა.შ.;</p> <p>ინდუსტრიული სამკერვალო ნაწარმის დამუშავებისათვის საჭირო ტექნოლოგიური მოწყობილობების (უნივერსალური, სპეციალური, ავტომატური და ნახევრადავტომატური საკერავი მანქანები, თბურდანამვით დამუშავების მოწყობილობები, მცირე მექანიზაციის საშუალებები) გამოყენება, დარეგულირება, თბურდანამვითი სამუშაოების შესრულება, უსაფრთხოების წესების დაცვა.</p> <p>ასევე, შეუძლია პრაქტიკაში გამოიყენოს კერვის სპეციფიკური თეორიული ცოდნისა და ტექნიკური უნარ-ჩვევების ფართო სპექტრი, კერძოდ, შეარჩიოს მოდელის მიხედვით ბაზისური თარგი, ან მოდელირებული თარგის მიხედვით მასალაში შესრულებისათვის საჭირო მეთოდებისა და ინსტრუმენტების გამოყენებით დამოუკიდებლად შეასრულოს ნაწარმი (გამოჭრა-კერვა) და მიიყვანოს დასრულებულ სახემდე ინდივიდუალური მოთხოვნის შესაბამისად.</p>
<p>დასკვნის უნარი</p>	<p>განსხვავებულ სიტუაციებში წარმოქმნილი პრობლემების გადასაჭრელად ინფორმაციის ცნობილი წყაროებით სარგებლობა, მათი შეფასება და ანალიზი.</p>	<p>სათანადოდ იყენებს სპეციალურ ლიტერატურას და ინფორმაციის სხვა წყაროებს ტექნოლოგიურ პროცესში წარმოქმნილი პრობლემის გადასაჭრელად, აფასებს და აანალიზებს სხვადასხვა მეთოდს, კერძოდ, შეუძლია: საწარმოო მანქანების დამოუკიდებლად მართვა, ტექნიკური ნახაზის მიხედვით შესრულებულ სამკერვალო კვანძებში დარღვევის აღმოფხვრა და დამოუკიდებლად პრობლემის მოგვარება. ასევე, მასალაში შესრულების პროცესში წარმოქმნილი ტექნოლოგიური პრობლემების აღმოფხვრა, დეფექტებისა და შეცდომების წარმოშობის მიზეზების დადგენა, გამოსწორება, სწორი გადაწყვეტილების ეფექტურად და სწრაფად მიღება.</p>
<p>კომუნიკაციისპირი უნარი</p>	<p>ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია პროფესიასთან დაკავშირებულ საკითხებზე განსხვავებულ სიტუაციებში, პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებული საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ეფექტიანად გამოყენება, უცხოური ენის პრაქტიკულად გამოყენება.</p>	<p>მიზანმიმართულად იყენებს საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს პროფესიული დაოსტატებისათვის, შეუძლია ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია როგორც პროფესიულ, ასევე განსხვავებულ სიტუაციაში, ფლობს პროფესიულ ტერმინოლოგიას უცხო ენაზე და პრაქტიკულად იყენებს უცხო ენას ახალი ინფორმაციის მოძიების, ამ ინფორმაციის სწორად გააზრების პროცესში.</p>
<p>სწავლის უნარი</p>	<p>წინასწარ განსაზღვრული ამოცანების ფარგლებში საკუთარ სწავლაზე პასუხისმგებლობის აღება.</p>	<p>შეუძლია დამოუკიდებლად აითვისოს ზოგიერთ ტექნიკური პროცედურა და ამ გამოცდილებაზე, მიღებულ ცოდნასა და კვალიფიკაციაზე დაყრდნობით, სწავლის</p>

		შემდგომ საფეხურზე გადასვლა, სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული დისციპლინების თანმიმდევრულად ათვისება, ტექნიკური უნარ-ჩვევების გამომუშავება.
ღირებულებები	განსხვავებულ სიტუაციებში მოქმედებს პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელი ღირებულების შესაბამისად	იცავს საზოგადოებასთან და კოლეგებთან ურთიერთობის ეთიკურ ნორმებს, შეუძლია პროფესიული პრობლემების კორექტულად გადაჭრა, შრომის ეთიკური ნორმების დაცვა.

სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტის მეოთხე საფეხურის კვალიფიკაციის აღწერი

ცოდნა და გაცნობიერება	აქვს სფეროს ფაქტობრივ გარემოებებსა და თეორიულ საფუძველზე დამყარებული ცოდნა. აქვს თეორიული და პრაქტიკული ჩვევები მსუბუქი ასორტიმენტის კერვის ტექნოლოგიაში, აცნობიერებს პრობლემის გადაჭრის ზოგად შესაძლებლობებს.	აქვს თეორიულ ცოდნაზე დამყარებული პრაქტიკული უნარ-ჩვევები ტანსაცმლის მსუბუქი ასორტიმენტის (ბავშვის, ქალის, მამაკაცის) კერვის ტექნოლოგიაში: იცის ნაწარმის კონსტრუქციისა და მისი ელემენტების დეტალური დახასიათება, ხელისა და მანქანური გვირისტების სახეების ტექნიკური შესრულება, სამკერვალო მანქანების ტექნოლოგიური რეგულირება; იცნობს; სამუშაო ინსტრუმენტებს და მათთან მუშაობის წესებს; ტანსაცმლის ნაწილების შესაერთებლად საჭირო ხერხებსა და საშუალებებს, ნაწარმის დეტალების შეერთების მეთოდებს.
ცოდნის პრაქტიკაში გაცნობიერების უნარი	შეუძლია სამუშაოს დაგეგმვისა და შესრულების პროცესში გამოიყენოს სანდო ინფორმაციის წყაროები. შეიმუშაოს სტრატეგია წამოჭრილი სპეციფიკური ამოცანის გადასაჭრელად. შეაფასოს მიღებული შედეგები.	შეუძლია მსუბუქი ტანსაცმლის ასორტიმენტის ტექნოლოგიური დამუშავების ძირითადი პრინციპებისა და ოპტიმალური მეთოდების გამოყენებით მაღალესთეტიკური და ხარისხიანი ნაწარმის შესრულება. შეუძლია სამუშაოს დაგეგმვისა და სამკერვალო ნაწარმის შესრულების პროცესში, გამოიყენოს სანდო ინფორმაციის წყაროები, შეიმუშაოს სტრატეგია, წამოჭრილი შესასრულებელი ამოცანის გადასაჭრელად და შეაფასოს მიღებული შედეგები სამუშაოს გაუმჯობესების მიზნით. კერძოდ შეუძლია დამოუკიდებლად შეიმუშაოს ტანსაცმლის მსუბუქი ასორტიმენტის ძირითადი ნაწილების საწყისი დამუშავების ხერხები, შეადგინოს ნაწარმის კერვის ტექნოლოგიური თანმიმდევრობა, გაითვალისწინოს დამუშავების თავისებურებანი, შეძლოს შერჩეული დამუშავების მეთოდით ნიმუშის დამზადება. ბავშვის, ქალისა და მამაკაცის მსუბუქი ნაწარმის ძირითადი განაჭერი ნაპირების შეერთება, ნაწარმის დეტალების გაფორმება, ნაწარმის თბურდანამვითი ოპერაციების შერჩევა-შესრულება.
დასკვნის უნარი	შეუძლია სპეციფიკური პრობლემის გადასაწყვეტად შესაბამისი მიდგომის შემუშავება.	შეუძლია მსუბუქი სამრეწველო ნაწარმის კერვის სპეციფიკური პრობლემების გააზრება, პრობლემის გადასაწყვეტად შესაბამისი ტექნიკური და

	ალტერნატიული შესაძლებლობების განხილვა და მიღებული შედეგის ანალიზი.	ტექნოლოგიური შესაძლებლობების განხილვა, შერჩევა – მიღებული შედეგის ანალიზი.
კომუნიკაციის უნარი	შეუძლია ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია, პროფესიასთან დაკავშირებულ საკითხებზე, ცვალებად სიტუაციებში. შეუძლია დამოუკიდებლად აითვისოს ახალი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები. შეუძლია უცხო ენაზე პროფესიასთან დაკავშირებული ინფორმაციის დამუშავება.	შეუძლია ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია, მსუბუქი სამრეწველო ასორტიმენტის შემსრულებლის პროფესიასთან დაკავშირებულ საკითხებზე. შეუძლია ესკიზური ტექნიკური და კონსტრუქციულ-ეკონომიკური პროექტების წაკითხვა და ინფორმაციის გადამუშავება, რომელთა გადაწყვეტა, თავის მხრივ, მოიცავს ნაწარმის მაღალკვალიფიციურ შესრულებას. შეუძლია უცხო ენაზე სპეციალური, პროფესიასთან დაკავშირებული ინფორმაციის დამუშავება, ფლობს საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს მის მიერ შესასრულებელი სამუშაოს შესაბამისად.
სწავლის უნარი	შეუძლია საკუთარი სწავლის მიმართულებების დამოუკიდებლად განსაზღვრა.	შეუძლია გაიაზროს პროფესიული წინსვლის პერსპექტივები და დამოუკიდებლად დაგეგმოს პროფესიული განვითარების საფეხურები.
ღირებულებები	იცნობს პროფესიული საქმიანობისთვის დამახასიათებელ ღირებულებებს.	პასუხისმგებლობით ეკიდება სამკერვალო მსუბუქი ასორტიმენტის პროფესიული საქმიანობისთვის დამახასიათებელ ღირებულებებს: შრომის უსაფრთხოების დაცვას, სამუშაო დროის ორგანიზებას და პუნქტუალობას; აქვს უნარი გაითავისოს პრობლემები, იცავს შრომის ეთიკისა და მორალის ნორმებს, ზრუნავს უსაფრთხოების წესებისა და გარემოს დაცვაზე.

სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტის მეხუთე საფეხურის კვალიფიკაციის აღმწერი

ცოდნა და	აქვს პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებული	კურსდამთავრებულს აქვს მრავალმხრივი და ზედა ტანსაცმლის ასორტიმენტის
----------	---	--

<p>გაცნობიერება</p>	<p>მრავალმხრივი და/ან სპეციალიზებული თეორიული და პრაქტიკული ცოდნა, აცნობიერებს პროფესიული საქმიანობის შესაძლებლობებს.</p>	<p>სპეციალიზებული თეორიული და პრაქტიკული ცოდნა, რომლის ბაზაზე მას შეუძლია ნაწარმის ფუნქციის, ასორტიმენტის კლასიფიკაციისა და ხარისხობრივი მაჩვენებლების მიხედვით დამოუკიდებლად გადაწყვიტოს მასალაში შესრულებისათვის საჭირო ტექნიკური ამოცანები.</p> <p>იცის ბავშვის, ქალისა და მამაკაცის ზედა ტანსაცმლის ასორტიმენტის (პალტო, ნახევრადპალტო, ქურთუკი, ლაბადა) ესკიზური და ტექნიკური აღწერილობის მიხედვით კონსტრუქციული ნახაზის აგება, ტექნიკური შესრულება, თბურდანამვითი ოპერაციების შერჩევა. აცნობიერებს ზედა ტანსაცმლის ასორტიმენტის სამკერვალო ნაწარმის კონსტრუქციულ-პლასტიკურ თავისებურებებს, ტექნიკურ მახასიათებლებს, ნაწარმის საპროექტო სამუშაოს შესრულების ეტაპებსა და ახალი მოდელის შექმნისათვის საჭირო მეთოდებს. აცნობიერებს პროფესიული საქმიანობის შესაძლებლობებს, რომელიც საჭიროა ბავშვის, ქალისა და მამაკაცის ზედა ტანსაცმლის ასორტიმენტის პროექტირებისათვის. იცნობს ზედა ტანსაცმლის ასორტიმენტის კონსტრუქციას, ტანსაცმლის დეტალების ძაფური შეერთების მეთოდებს, ნაკერის აგებას, საფეიქრო მასალების გავლენას, ნაწარმის დამზადების ტექნოლოგიურ პროცესზე, ტანსაცმლის ნაწილების შესაერთებლად საჭირო ხერხებსა და საშუალებებს, აქვს ძირითადი, დამხმარე და გასაფორმებელი მასალების თვისებათა ცოდნა და კონსტრუქციულ-ტექნიკურ პროცესებში მათი პრაქტიკულად გამოყენების უნარი. აქვს ერთიანი საწარმოო პროცესის კონკრეტულ მონაკვეთზე ტექნიკური ციკლის დამოუკიდებლად წარმართვის უნარი. იცნობს სამკერვალო სპეციალური მანქანების ტექნიკურ შესაძლებლობებს და მათი გამოყენების სფეროებს. შეუძლია დაგეგმილი პროცესის მოცემულ ვადაში რაციონალურად განაწილება.</p>
<p>ცოდნის პრაქტიკაში გაცნობიერების უნარი</p>	<p>შეუძლია შემეცნებითი პრაქტიკული სპექტრის გამოყენება აბსტრაქტული პრობლემის შემოქმედებითად გადასაწყვეტად.</p>	<p>შეუძლია შემეცნებითი და პრაქტიკული უნარების ფართო სპექტრის გამოყენება. აქვს ერთიანი საწარმოო პროცესის კონკრეტულ მონაკვეთზე ტექნიკური ციკლის დამოუკიდებლად წარმართვის უნარი. თარგის ტექნიკური დეტალიზაციისა და მოდელში პრაქტიკულად განხორციელების უნარი. შეუძლია ბავშვის, ქალისა და მამაკაცის ზედა ტანსაცმლის ასორტიმენტის (პალტო, ნახევრადპალტო, ქურთუკი, ლაბადა) მასალაში შესრულებისათვის დამოუკიდებლად შეარჩიოს ოპტიმალური კონსტრუქციული და ტექნოლოგიური პროექტირების მეთოდები. აქვს წარმოებაში მოცემულ საფეხურზე ტექნიკური პროცესების თანმდევით პრობლემის გადაჭრის მართებული დამოუკიდებელი გადაწყვეტილების მიღების უნარი.</p>
<p>დასკვნის უნარი</p>	<p>შეუძლია კარგად განსაზღვრულ პრობლემების ამოცნობა, მათი გადაჭრისათვის სათანადო მონაცემების ოდენტიფიცირება და ანალიზი სტანდარტული მეთოდების გამოყენებით, ასევე დასაბუთებული დასკვნების გაკეთება.</p>	<p>შეუძლია სპეციფიკური პრობლემების გადასაწყვეტად შესაბამისი მიდგომის შემუშავება, ალტერნატიული შესაძლებლობების განხილვა და მიღებული შედეგის ანალიზი.</p> <p>შეუძლია მსუბუქი სამრეწველო ნაწარმის სპეციფიკური პრობლემის აღმოფხვრა, შესაბამისი ტექნიკური და ტექნოლოგიური საშუალებებით.</p>

კომუნიკაციის უნარი	შეუძლია იდეებისა და ინფორმაციის თანმიმდევრულად გადაცემა სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის ხარისხობრივი და რაოდენობრივი ინფორმაციების გამოყენებით. იყენებს თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს შეუძლია უცხოურ ენაზე პროფესიასთან დაკავშირებულ ინფორმაციის გადაცემა და ანგარიშის წარდგენა.	აქვს კომპიუტერზე მუშაობის საბაზისო ცოდნა, უცხო ენის საბაზისო ცოდნა და იყენებს თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს შესასრულებელი სამუშაოს შესაბამის დონეზე.
სწავლის უნარი	შეუძლია საკუთარი სწავლის მიმართულებების განსაზღვრა, ცვალებად და გაუთვალისწინებელ ვითარებაში.	შეუძლია საკუთარი სწავლის მიმართულების განსაზღვრა პროფესიული ცოდნისა და გამოცდილების შემდგომი გაღრმავების მიზნით. აქვს დიზაინის მიმართულების საბაკალავრო განათლების საფეხურზე გადასვლის შესაძლებლობა.
ღირებულებები	აფასებს თვისი და სხვების დამოკიდებულებას. პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელი ღირებულებებისადმი.	პასუხისმგებლობით ეკიდება პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელ ღირებულებებს - სიზუსტეს, პუნქტუალობას, ორგანიზებულობას. აქვს უნარი, დაგეგმოს და შეუფერხებლად წარმართოს სამუშაო პროცესი, იცავს ეთიკისა და მორალის ნორმებს.